ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქციის

,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წ ე ს დ ე ბ ა

1. **ზოგადი დებულება**

1.1 ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ნებაყოფლობით გაერთიანებას, მასში გაერთიანება ფრაქციის თანხმობის საფუძველზე შეუძლია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნებისმიერ წევრს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. **ფრაქციის წევრი**

2.1 ფრაქციის წევრობა შეუძლია საკრებულოს ნებისმიერ წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული საკრებულოს რომელიმე ფრაქციაში, რომლის თაობაზეც წერილობით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2.2 ფრაქციაში წევრის მიღების ან ფრაქციიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა.

2.3 ფრაქციის წევრები სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. **ფრაქციის სხდომა**

3.1 ფრაქციის სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

3.2 ფრაქციის სხდომას იწვევს ფრაქციის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის ნებისმიერი წევრის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

3.3 სხდომის დღის წესრიგში საკითხის შეტანა შეუძლია ფრაქციის ნებისმიერ წევრს.

3.4 ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა ნახევარზე მეტი.

3.5 ფრაქციის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

4. **ფრაქციის ხელმძღვანელები**

4.1 ფრაქცია თავის შემადგენლობიდან ირჩევს და ათავისუფლებს ფრაქციის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს;

4.2 ფრაქციის თავმჯდომარისა ან/და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის ნებისმიერ წევრს.

4.3 ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში ფრაქციის თავმჯდომარისა ან/და თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლების საკითხის შეტანის უფლება აქვს ფრაქციის ნებისმიერ წევრს.

4.4 ფრაქციის თავმჯდომარე და მოადგილეები სარგებლობენ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით;

4.5 ფრაქციის თავმჯდომარის შვებულების, მივლინების ან სხვა მიზეზით უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის დროს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის ის მოადგილე, რომელსაც, ფრაქციის თავმჯდომარე დააკისრებს ასეთ მოვალეობას, ფრაქციის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ვადის განმავლობაში.

4.6 თუ ფრაქციის თავმჯდომარეს, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის დროს, რაიმე მიზეზით არ შეუძლია, ფრაქციის თავმჯდომარის რომელიმე მოადგილეს დააკისროს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება, პირველივე შესაძლებლობისთანავე იკრიბება ფრაქციის სხდომა და შეარჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელსაც დაეკისრება ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება.

4.7. ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ფრაქციას წარმოადგენს როგორც საკრებულოში ასევე მის გარეთ, აგრეთვე მასვე განესაზღვროს ფრაქციის სახელით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საპროცესო უფლებაუნარიანობა, მათ შორის სასამართლოში სარჩელის/საჩივრის აღძვრის უფლებამოსილება, აგრეთვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით და 83[1] მუხლებით განსაზღვრული სრული უფლებამოსილება, კერძოდ - ფრაქციის სახელით სახელით შეიტანოს საჩივარი/განცხადება/სარჩელი, ცნოს ან უარყოს მთლიანად ან ნაწილობრივ სასარჩელო მოთხოვნები, უარი თქვას ან გამოიხმოს სასარჩელო მოთხოვნები მთლიან ან ნაწილობრივ, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, მორიგდეს, გადაიხადოს/დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი ან/და მოსაკრებელი, გაეცნოს საქმის მასალებს. აღნიშნული უფლებები მასვე შეუძლია გადაანდოს მესამე პირს, მთლიანად ან ნაწილობრივ;

5. ფრაქციის მიერ გადაწყვეტილების მიღება

5.1 ფრაქციის სხდომა, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, უფლებამოსილია მისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის საკრებულოში სამართლებრივი აქტის ინიცირების თაობაზე, ფრაქციის წესდებაში ცვლილებების შესახებ, საკრებულოს არჩევით თანამდებობაზე კანდიდატ(ებ)ის წარდგენის საკითხზე.